ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი # 02

ქ. ონი 29. 02. 2024 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გივი მეტრეველი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე, ლევან ორდინიძე, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი, რევაზ საბანაძე, მერაბ ბიჭაშვილი, ნინო გობეჯიშვილი, თორნიკე მეტრეველი, მადლენა მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, ბიძინა ყიფიანი, ნოდარ ბურდილაძე, ნონა მაისურაძე, ეკა მაისურაძე, თამაზ მეტრეველი, ზურაბ ბენდიანიშვილი, შალვა კახეთელიძე, ნინო ბერუჩაშვილი,

არ ესწრებოდნენ: როსტომ ლობჯანიძე, გიორგი მეშვილდიშვილი, ფრიდონ გოგრიჭიანი, შუქურა ჯაფარიძე, ბიჭიკო კერვალიშვილი, ბესიკი მაისურაძე, ანა ბაქრაძე, თეიმურაზ ცეცაძე, თამილა არჩვაძე, გელა მეტრეველი.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

1.,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“.

/მომხსენებელი: ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპ. მერის მოადგილე
თანამომხს. თ. გრძელიშვილი-ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

2.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2023 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხსენებელი: ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

3.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის

განათლების, კულტურის, სპორტის, ბავშვთა უფლებების დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ს. გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1.,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“.

/მომხსენებელი: ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპ. მერის მოადგილე
თანამომხს. თ. გრძელიშვილი-ეკონომიკის სამსახურის უფროსი /

თანამომხსენებელმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი .,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე
მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2023 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხსენებელი: ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია 2023 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ბავშვთა უფლებების დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ს. გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ბავშვთა უფლებების დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე.

ნ. ბურდილაძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ სოციალური ქსელების საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია მოსახლეობას ზუდალში გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

ლ. შერაზადიშვილმა განაცხადა, რომ მოგეხსენებათ, აღნიშნულ პროექტს ახორციელებს საგზაო დეპარტამენტი, მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ყველა საჭირო ნაბიჯი გადადგმულია, მიმდინარეობს განხილვები, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენ არ გვაქვს კონკრეტული ინფორმაცია.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე